



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

განცხადება №3

5 იანვარი, 2008წ.
19:00 საათი

“სამართლიანი არჩევნების” 17:00 საათისთვის არსებული ინფორმაციით, საარჩევნო პროცესი მიმდინარეობს არამშვიდ გარემოში. ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა შემდეგი სახის დარღვევები:

ბიულეტენების ჩაყრა

№17 თელავის საარჩევნო ოლქის №1 უბანზე გამგეობის თანამშრომელმა, ივანე ფეიქრიშვილმა, სტაციონარულ ყუთში ჩაყარა კონვერტები და მაშინვე დატოვა საარჩევნო უბანი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებლის მიერ დაიწერა საჩივარი და ეცნობა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

№81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის №43 მერაბ რომანაძემ საარჩევნო ყუთში ჩაყარა 5 ბიულეტენი. ამ ფაქტთან დაკავშირებით “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი.

№35 ხაშურის საარჩევნო ოლქის №44 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მოხდა დაუდგენელი რაოდენობის ბიულეტენების ჩაყრა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომისიის მდივანმა რეგისტრაციაში გაატარა ოპოზიციური პარტიის დამკვირვებლის საჩივარი, თუმცა კომისიის თავმჯდომარემ გაანადგურა აღნიშნული საჩივარი. ამის შემდეგ “სამართლიანი არჩევნების” მიერ დაწერილი საჩივრის რეგისტრაციაზე კომისიის მდივანმა უარი განაცხადა.

ბიულეტენების ჩაყრის მცდელობა აღიკვეთა “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებლის მიერ №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის №15 საარჩევნო უბანზე. ხოლო ამავე ოლქის №10 და №11 უბნებზე დაფიქსირდა ერთი და იმავე ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის ფაქტი.

ამომრჩეველთა სიები

№79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №42 საარჩევნო უბანზე “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველმა ხმა მისცა არა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. №2 ვაკის საარჩევნო ოლქის №38 საარჩევნო უბანზე და №65 მარტვილის საარჩევნო ოლქის №37 საარჩევნო უბანზე ამომრჩევლებმა, რომლებიც რეგისტრაციის ადგილის მიხედვით არ მიეკუთვნებოდნენ აღნიშნულ უბანს, თუმცა ფიქსირდებოდნენ ამ უბნის ამომრჩეველთა სიაში, შეძლეს განეხორციელებინათ

ხმის მიცემა. №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის №27 უბანზე ამომრჩევლები, რომლებიც არ მიკუთვნებიან ამ უბანს, ხმას აძლევენ დამატებითი სიის მეშვეობით.

პროცედურული დარღვევები საარჩევნო უბნებზე

№61 ლანჩხუთის საარჩევნო ოლქის №27 უბანზე ერთ-ერთ ამომრჩეველზე არ განხორციელდა მარკირების პროცედურა. ასეთივე ფაქტი დაფიქსირდა №68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქის №17 საარჩევნო უბანზე.

№9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის №10 საარჩევნო უბანზე მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ მარკირების შესამოწმებელი აპარატი, მის ნაცვლად იყენებდნენ ჩვეულებრივ სანათ საშუალებას (ფანარს).

№63 აბაშის საარჩევნო ოლქის №119 საარჩევნო უბანზე დაზიანდა მარკირების შესამოწმებელი აპარატი, მის გამოცვლამდე სამმა ამომრჩეველმა მოახერხა ხმის მიცემა.

ხმის მიცემის ფარულობა

№49 თერჯოლის საარჩევნო ოლქის №11 საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის მცდელობას - ნაციონალური მოძრაობის დამკვირვებელი ცდილობდნენ, შეეხედათ ხმის მიცემის კაბინაში და დაეფიქსირებინათ მოქალაქის არჩევანი.

ხმის მიცემისთვის საჭირო დოკუმენტაცია

№79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №49-ე უბანზე ამომრჩევლებმა ხმა მისცეს პირადობის მოწმობის წარდგენის გარეშე.

№80 ქედის საარჩევნო ოლქის №12, №3 და №8 საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლებმა შეძლეს ხმის მიცემა განხორციელებინათ ვადაგასული პირადობის მოწმობებით. №19 თაინეთის საარჩევნო ოლქის №5 უბანზე ამომრჩევლებმა ხმა მისცეს მართვის მოწმობის და პირადობის მოწმობის ასლის საფუძველზე.

№64 სენაკის საარჩევნო ოლქის №8 უბანზე ამომრჩეველმა, რომელმაც წარადგინა საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ხმა მისცა დამატებითი სიის მეშვეობით.

№4 კრწანისის საარჩევნო ოლქში №29 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ღიად ეწვიან პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის სასარგებლო აგიტაციას. უფრო მეტიც, ნაციონალური მოძრაობის დამკვირვებელი მერაბ მამედოვი (რომლიც სამკლავე ნიშანი ამბობს "მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელი") კაბინიდან გამოსულ ამომრჩევლებს ხელიდან ართმევდა შევსებულ ბიულეტენებს, თავად დებდა კონვერტში და აგდებდა საარჩევნო ყუთში. ხოლო იმავე ოლქის №30 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა სხვისი პირადობის მოწმობით ხმის მიცემის ფაქტები და რეგისტრატორების მხრიდან ერთი და იმავე ამომრჩევლებზე ბიულეტენის არაერთგზის გაცემა. სხვისი პირადობის მოწმობით ხმის მიცემის შემთხვევა აღინიშნა №84 საარჩევნო ოლქის №42 უბანზე, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა ხმა მისცა მისი ოჯახის წევრის ნაცვლად.

წინა განცხადებაში მოხსენიებულ №22 მარნეულის საარჩევნო ოლქის №40 უბანზე დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით აღნიშნული საუბნო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში არ ატარებს “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებლის საჩივარს.

№25 წალკის საოლქო საარჩევნო ოლქის №22 უბანზე კენჭისყრის ოთახში არის გამოკრული ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის სააგიტაციო პლაკატები. ამასთანავე, აღნიშნულ უბანზე ამომრჩევლები ხმას აძლევდნენ მათი ოჯახის წევრების პირადობის მოწმობებით.

№50 საჩხერის საარჩევნო ოლქის №33 უბანზე დაიკარგა კომისიის თავმჯდომარის ბეჭედი.

№52 ბაღდათის საარჩევნო ოლქის №6 უბანზე კაბინებში გამოკრულ ბიულეტენის ნიმუშებზე შემოახაზული იყო №5 საპრეზიდენტო კანდიდატი. ამ დროისათვის ეს ბიულეტენები უკვე ჩამოხსნილია.

№1 მთაწმინდის საარჩევნო ოლქის №34 უბანზე (სამხედრო) “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებელმა შენიშნა ამომრჩევლის მიერ ბიულეტენზე ფოტოს გადაღების ფაქტი, კონკრეტულად გაიგონა კაბინიდან ფოტო აპარატის ჩხაკუნის ხმა.

№16 ყვარელის საარჩევნო ოლქის №12 საუბნო საარჩევნო უბნის წევრები ბიულეტენების გაცემისას ღიად უთითებდნენ ამომრჩევლებს, შემოეხაზათ პრეზიდენტობის №5 კანდიდატი. ანალოგიური დარღვევა დაფიქსირდა №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის №50 უბანზე. ასევე №80 ქედის საარჩევნო ოლქის №14 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ღიად ეწეოდა ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის აგიტაციას.

№58 წყალტუბოს საარჩევნო ოლქის №38 უბანზე და ამბროლაურის ოლქში არსებულ უმრავლეს უბნებზე ფიქსირდება პოლიციელების ყოფნა კენჭისყრის ოთახში.

№79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №50 უბანზე საარჩევნო ყუთი არ იყო სტანდარტების შესაბამისად დალუქული.

№83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის № 28 საარჩევნო უბანზე, კომისიის თავმჯდომარე გურამ გურგენიძე არ იღებს “სამართლიანი არჩევნების” წარმომადგენლის საჩივარს.

№62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქის № 22 საარჩევნო უბანზე პოლიციელმა ზაზა ჯიბუტმა განაცხადა, რომ აპირებს ბიულეტენების ჩაყრას და “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებელს მოსთხოვა არაფერი ეთქვა ამ ფაქტთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა სამსახურის დაკარგვით. “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” მოუწოდებს სამართალდამცავებს, არ ჩაერიონ საარჩევნო პროცესში, თავი შეიკავონ მსგავსი განცხადებებისგან და ხელი შეუწყონ ორგანიზაციის დამკვირვებლებს დარღვევების გამოვლენასა და მიუკერძოებელი სადამკვირვებლო მისიის განხორციელებაში.

ამომრჩეველთა აქტივობა

“სამართლიანი არჩევნების” მონაცემებით, 17:00 საათისთვის ამომრჩეველთა აქტივობა საქართველოს მასშტაბით იყო 46,1 %

დამატებითი სიების საშუალებით, ამ დროისათვის ხმა მისცა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 2,4 %-მა.